საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-11/50

ქ. ბათუმი **28 ივლისი, 2014წ**

სსიპ– ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2014წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 18 აგვისტოს №01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბიუჯეტის შედგენის წესი“–ს მე–5 მუხლის მე–2 პუნქტის, ,,ბსუ–ს 2014 წლის წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 26 დეკემბერის # 4 გადაწყვეტილების, ბსუ–ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის მერაბ ხალვაშის 2014 წლის 28 ივლისის # 3499 და ბსუ–ს საფინანსო–ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის, გურამ გვარიშვილის 2014 წლის 28 ივლისის # 3500 მოხსენებითი ბარათების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ბსუ-ს 2014 წლის ბიუჯეტში შეტანილი იქნეს ცვლილება, კერძოდ კი, ბიუჯეტის მუხლით – ,,ნაშთი წლის ბოლოსათვის“ განსაზღვრული დაფინანსება შემცირდეს 241 978 (ორას ორმოცდაერთი ათას ცხრაას სამოცდათვრამეტი) ლარით და შესაბამისად გაიზარდოს: მუხლით – ,,წლიური ხელფასის ფონდი საშტატო განრიგის მიხედვით“ განსაზღვრული დაფინანსება 68 478 (სამოცდარვა ათას ოთხას სამოცდათვრამეტი) ლარით, მუხლი - „უნივერსიტეტის შენობის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები“ - გაიზარდოს 157000 (ას ორმოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარით და მუხლი - ,,სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ - 16 500 (თექვსმეტი ათას ხუთასი) ლარით. საბოლოოდ კი, 2014 წლის ბიუჯეტის მუხლი ,,წლიური ხელფასის ფონდი საშტატო განრიგის მიხედვით“ განისაზღვროს 8596163 (რვა მილიონ ხუთას ოთხმოცდათექვსმეტი ათას ას სამოცდასამი) ლარით, მუხლი „უნივერსიტეტის შენობის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები“ 367 000 (სამას სამოცდაშვიდი ათასი) ლარით, მუხლი „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ – 186 500 (ას ოთხმოცდაექვსი ათას ხუთასი) ლარით, ხოლო მუხლი ,,ნაშთი წლის ბოლოსათვის“ – 2 688 572 (ორი მილიონ ექვსას ოთხმოცდარვა ათას ხუთას სამოცდათორმეტი) ლარით,ბრძანების დანართი 1 -ის მიხედვით.
2. ამ ბრძანებით იხელმძღვანელონ ბსუ–ს შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულებმა.
3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ედიშერ ჩავლეიშვილი**

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2014 წლის ბიუჯეტი

დანახარჯები

ბსუ-ს ადმინისტრაციის
ხელმძღვანელის 2014 წლის 28
ივლისის № 01-11/50 ბრძანების
დანართი 1

№	დანახარჯის მუხლები	თანხა, ლარი
	1	
1	ხელფასი	10041163
	მ.შ.	
	წლიური ხელფასის ფონდი საშტატო განრიგის მიხედვით	8596163
	აკადემიური და მოწვეული პერსონალის საათობრივი ანაზღაურება	1000000
	შტატგარეშე და დროებით დაქირავებულ სპეციალისტთა შრომის ანაზღაურება	150000
	მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების და აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსების შრომის ანაზღაურება	60000
	გრანტის სახელფასო ფონდი	220000
	საპრემიო ფონდი	15000
2	მივლინებები	130000
3	სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	1,629,700
	მ.შ.	
	ოფისის ხარჯები	900700
	წარმომადგენლობითი ხარჯები	50,000
	სამედიცინო ხარჯები	500
	სასწავლო და რბილი ინვენტარის და სხვა ინვენტარის შეძენის ხარჯები	50,000
	ტრანსპ-ისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	75000
	უნივერსიტეტის შენობის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები	367,000
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	186500
4	კაპიტალური ხარჯები	385,000
	მ.შ.	
	ლიტერატურის შეძენა	70,000
	კომპიუტერული ტექნიკის შეძენა	120,000
	რეაქტივები, ლაბორატორიული ან სხვა სასწავლო დანადგარების შეძენა	195,000
5	ემერიტუსი, სტიპენდია და სასწავლო-სოციალური პროგრამა	500000
	მ.შ.	
	ემერიტუსი	300000
	სტიპენდია	170000
	სასწავლო-სოციალური პროგრამა	30000
6	საგადასახადო ხარჯები	200000
7	ნაშთი წლის ბოლოსათვის	2,688,572.0
8	სულ დანახარჯები	15,574,435